



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო  
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია



წერილის ნომერი: 30-302121048  
თარიღი: 29/07/2021  
პინი: 9377

ადრესატი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გადაამოწმეთ: [document.municipal.gov.ge](http://document.municipal.gov.ge)

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
თავმჯდომარეს ბატონ ბესიკ ტაბიძეს

ბატონო ბესიკ,

გეგზავნებათ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო  
სამსახურის მიერ მომზადებული დაზუსტებული განმარტებითი ბარათი .  
გთხოვთ განიხილოთ.

იხ.დანართი.

პატივისცემით,

ალექსანდრე სარიშვილი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია-ლანჩხუთის  
მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური  
ელექტრონული ხელმოწერა/  
ელექტრონული შტამპი





**ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო**  
**ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის**  
**საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური**



წერილის ნომერი: **05-302121044**  
 თარიღი: **29/07/2021**

ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახური-ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის უფროსი (მოვალეობის შემსრულებელი)

ადრესატი:

ბუხუტი ბარამიძე

**ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის**  
**ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის**  
**უფროსის მ/შ ბატონ ბუხუტი ბარამიძეს**  
**საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის**

**დაზუსტებული განმარტებითი ბარათი**

„სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 11 მარტის N330 განკარგულებაში მიმდინარე წლის 11 ივნისის საქართველოს მთავრობის N969 განკარგულებით შესული ცლილებებით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს დამატებით გამოეყო 460,0 ათასი ლარი, მოქალაქეთა დაზიანებული სახლებისათვის პროფნასტილის მასალების შეძენისათვის.

წინა წლებში მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის ობიექტების რეაბილიტაციაზე გამოყოფილი თანხებიდან (ეკონომია) 74248 ლარით და ადმინისტრაციული შენობის სარემონტო სამუშაოების 95000 ლარით შემცირების ხარზე 169248 ლარი მიიმართოს აკეთის და ჩოჩხათის (სოფელი გულიანი) ადმინისტრაციულ ერთეულებში სტიქიით დაზიანებული გზების სარეაბილიტაციო სამუშაოების დაფინანსებაზე.

სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის წინადადების საფუძველზე მიზანშეწონილია ქ.ლანჩხუთში ორაგვისდელის უბანში ჩატარდეს ხიდის სარეაბილიტაციო სამუშაოები 175900 ლარის ფარგლებში, სოფელ ქვიანში რუსთაველის ქუჩაზე გადასასვლელი ხიდის მოწყობაზე მიიმართოს 152500 ლარი, სოფელ ლესაში კორეის უბანში ხიდის სარეაბილიტაციო სამუშაოებზე მიიმართოს 36600 ლარი, სოფელ ჩოჩხათში ნანული სარნაშის ეზოსთან სახიდე გადასასვლელის მოწყობაზე 25000 ლარი, კვირკველიას ქუჩაზე სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებაზე სანიაღვრე არხების დამატებით სამუშაოების დაფინანსებაზე მიიმართოს 29000 ლარი, სოფელ შუხუთში გაბიონის მოწყობაზე 12000 ლარი, მამათის წყალსადენის რეაბილიტაციაზე დამატებით გამოიყოს 5000 ლარი, ჯიხეთის დედათა მონასტრის ელექტროფიცირების ღონისძიების დაფინანსებაზე მიიმართოს 30000 ლარი, აცანის ადმინისტრაციულ ერთეულში სტიქიით დაზიანებული მ.ჩხაიძის სახლის სარეაბილიტაციოდ გამოყოფილი 22000 ლარი ნაცვლად სტიქიით დაზიანებული ობიექტებისათვის სარეაბილიტაციოდ გამოყოფილი თანხიდან

დაფინანსდეს ადგილობრივი ბიუჯეტიდან.

სპეც ტექნიკის შესაძენად გაიზარდოს მუნიციპალიტეტის გარე განათების არაფინანსური აქტივების მუხლი 80000 ლარით, გაიზარდოს ჯანდაცვის ობიექტების ღონისძიებების არაფინანსური აქტივების მუხლი 2000 ლარით, მუნიციპალიტეტის ვებგვერდის განახლების პროგრამაზე მიმართოს 4100 ლარი. (მათ შორის 500 ლარი მომსახურება)

ა(ა)იპ-დან შემოსული მომართვების განხილვის შედეგად მიზანშეწოლილად ჩაითვალა: ა(ა)იპ საფეხბურთო სკოლის საქონელი და მომსახურების მუხლი გაიზარდოს 40000 ლარით, შპს ფეხბურთის კლუბი ლანჩხუთის გურიას დაფინანსებაზე გამოიყოს 25000 ლარი, შპს ლანჩხუთის 25000 ლარი, შპს ქალთა საფეხბურთო კლუბის ლანჩხუთის ლანჩხუთის დაფინანსება გაიზარდოს 4000 ლარით, ა(ა)იპ ჯანდაცვის ცენტრის დაფინანსება გაიზარდოს 19400 ლარით, მათ შორის საქონელი და მომსახურების მუხლი გაიზარდოს 18300 ლარით და არაფინანსური აქტივები 1100 ლარით, ა(ა)იპ კულტურის ცენტრის დაფინანსება გაიზარდოს სხვა საქონელი და მომსახურების მუხლი 15000 ლარით, ა(ა)იპ ეკონომიკური განვითარებისა და ინოვაციების ცენტრის დაფინანსება გაიზარდოს სხვა საქონელი და მომსახურების მუხლი 2500 ლარით.

ზემოთაღნიშნული ხარჯების დაფინანსება განხორციელდეს დამატებითი ღირებულების გეგმის 390800 ლარით და ჯარიმების, სანქციების და საურავების 314200 ლარით გაზრდის ხარჯზე.

საქართველოს პარლამენტისათვის წარდგენილი „საქართველოს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით გადამუშავებული ფისკალური პროგნოზების შესაბამისად ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გადასახადებიდან მისაღები შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლები განისაზღვრა 9211,1 ათასი ლარით, მათ შორის დამატებული ღირებულების გადასახადი 8211,1 ათასი ლარით, ანუ გაიზარდა 690,8 ათასი ლარით, ქონების გადასახადიდან მისაღები შემოსავალი 1000,0 ათასი ლარი, ანუ შემცირდა 300,0 ათასი ლარით.

პატივისცემით,

როლანდ ლაშხია

საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური-საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი